25.11.2008: აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №25

25 ნოემბერი, 2008
ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. აკადემიური საბჭოს სხდომის მდივნის არჩევა;

2. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ცენტრის - "სპორტის აკადემიის" დირექტორის შენიშვნები "აკადემიური დავალიანების დაფარვისა და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესის" შესახებ;

3. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესში ცვლილებების შესახებ;

4. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 24 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სეისმური მონიტორინგის ცენტრის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის მიერთების შესახებ განსახორციელებელი გეგმის შემუშავება და სტატუსის განსაზღვრა;

5. შევიდეს ცვლილება წესდების 32 -ე მუხლის 1 პუნქტში და ეს პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: "აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება უნივერსიტეტის ყოველი ფაკულტეტიდან თითო წარმომადგენლით";

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე - საბჭოს თავმჯდომარე
2. მზია ბაქრაძე - სხდომის მდივანი
3. შუქია აფრიდონიძე
4. ნათელა იმედაძე
5. გიორგი ნახუცრიშვილი

2008 წლის 25 ნოემბრის სხდომაზე აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. აკადემიურის საბჭოს მდივნის მოვალეობას დროებით შეასრულებს მზია ბაქრაძე;

2. შევიდეს ცვლილება "აკადემიური დავალიანების დაფარვისა და სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის წესში, კერძოდ, მე-4 მუხლში, შემდეგი რედაქციით: "სტუდენტები, რომლებიც, გაფრთხილების მიუხედავად, 2009 წლის 1 ივნისამდე არ გამოთქვამენ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების სურვილს და არ დაფარავენ ამ წესის მეორე პუნქტით დადგენილ სწავლის საფასურს, გაირიცხებიან უნივერსიტეტიდან მოქმედი წესის შესაბამისად";

3. შევიდეს ცვლილება ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესში შემდეგი სახით;

ა) შეიცვალოს სათაური შემდეგნაირად: "ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები".

ბ) წესს დაემატოს მე-3 მუხლი შემდეგი სახით:

მუხლი 3. აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ პირთა დასაქმების პირობები

1. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოციირებული ან ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში არჩეულ კანდიდატს ეკრძალება იმუშაოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სრული, ასოციირებული ან ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.
2. იმ შემთხვევაში, თუ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული, ასოციირებული ან ასისტენტ-პროფესორობის კანდიდატი, უკვე არის სხვა უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი, კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში იგი ვალდებულია აირჩიოს, რომელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ თანამდებობაზე განაგრძობს მუშაობას.
3. ფაკულტეტის თანხმობის შემთხვევაში პროფესორს შეუძლია იყოს მოწვეული პროფესორი საქართველოს ან უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში (უნივერსიტეტებში). ამ შემთხვევაში ეს თანამდებობა არ უნდა იყოს გათვალისწინებული საშტატო განრიგით.
4. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმებული პირის მიერ ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველი".

4. სეისმური მონიტორინგის ცენტრს ეწოდოს "ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სეისმური მონიტორინგის ცენტრი";

5. შევიდეს ცვლილება წესდების 32-ე მუხლის 1 პუნქტში და ეს პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: "აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება უნივერსიტეტის ყოველი ფაკულტეტიდან თითო წარმომადგენლით"; და გადაეგზავნოს ეს ცვლილება უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

სხდომის თავმჯდომარე:

გიგი თევზაძე

სხდომის მდივანი:

მზია ბაქრაძე